



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1114  
08/06/2018

ქალაქი ბათუმი

1114-05-4-201806081808



**თამარ მართალიშვილის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“- საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 45-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 დადგენილების, მერაბ თურმანიძის 2018 წლის 23 მაისის №1470-05 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი 2018 წლის 21 მაისის „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის (ღია კონკურსი ან დახურული კონკურსი) ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №5“ - საოქმო გადაწყვეტილებისა და თამარ მართალიშვილის 2018 წლის 05 ივნისის №8029/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. 2018 წლის 08 ივნისიდან დაინიშნოს თამარ მართალიშვილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში თანამდებობაზე, 12 თვით გამოსაცდელი ვადით.

2. შეწყვეტილი იქნეს თამარ მართალიშვილთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში საჯარო მოსამსახურის პოზიციაზე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თამარ მართალიშვილის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში საჯარო მოსამსახურედ შრომითი ხელშეკრულებით აყვანის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 02 მაისის №886 ბრძანება.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

